

სს „სვანეთი ჰიდრო“

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სვანეთი ჰიდროს“ ხელმძღვანელობას და აქციონერს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სვანეთი ჰიდროს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და აქციონერის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ,

კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აქციონერი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, გვეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი

ექვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

აქციონერებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკლენთ.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 აპრილი, 2021 წ.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
6. ძირითადი საშუალებები	17
7. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	18
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები	19
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
10. კაპიტალი	20
11. ნასესხები სახსრები	20
12. გადავადებული შემოსავალი	21
13. შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	22
14. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
15. სხვა საოპერაციო ხარჯები	22
16. არარეგულარული ხარჯი, წმინდა	23
17. ფინანსური ხარჯები	23
18. პირობითი ვალდებულებები	23
19. ფინანსური ინსტრუმენტები	24
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	26
21. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	28

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

		2021 წლის შენიშვნა 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	119,585	165,872
გამოყენების უფლებით გამოცემული აქტივები	7	698	524
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	811	789
სულ გრძელვადიანი აქტივები		121,094	167,185
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	13	233	-
ანაზღაურებადი აქტივები	6	-	2,822
წინასწარ გადახდილი გადასახადები		196	-
სხვა მიმდინარე აქტივები		110	310
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	27,597	41,128
სულ მიმდინარე აქტივები		28,136	44,260
სულ აქტივები		149,230	211,445
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	67,446	67,446
დაგროვილი დანაკლისი		(46,861)	(3,256)
საკურსო სხვაობის რეზერვები	10	12,487	15,564
სულ კაპიტალი		33,072	79,754
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	110,069	124,459
საიჯარო ვალდებულებები	11	323	337
გადავადებული შემოსავალი	12	550	1,422
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		110,942	126,218
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	5,135	5,158
საიჯარო ვალდებულებები	11	49	47
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		32	34
სხვა საგადასახადო კრედიტორული დავალიანება		-	234
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,216	5,473
სულ ვალდებულებები		116,158	131,691
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		149,230	211,445

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 აპრილს:

ზურაბ გორდეზიანი
დირექტორინანა მშვიდლობაძე
ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	13	13,541	12,560
შემოსულობა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურებიდან	6	–	4,251
სულ ამონაგები და შემოსულობა		13,541	16,811
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები		(67)	(61)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,322)	(2,864)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(254)	(405)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,643)	(3,330)
EBITDA		9,898	13,481
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	6	(36,595)	
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,8	(4,080)	(3,814)
ფინანსური შემოსავალი		630	102
ფინანსური ხარჯები	17	(11,890)	(10,097)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		(218)	69
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი	12	–	(4,524)
არარეგულარული ხარჯი, წმინდა	16	(1,350)	(572)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(43,605)	(5,355)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის ზარალი		(43,605)	(5,355)
(ზარალი)/შემოსულობა საკუროს სხვაობიდან		(3,077)	9,531
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(46,682)	4,176

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	გაუნაწილებელი მოგება/ საწესდებო კაპიტალი	(აკუმულირებული დანაკლისი)	სხვა მარაგები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის				
მდგომარეობით	64,378	2,099	6,033	72,510
წლის ზარალი	–	(5,355)	–	(5,355)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	–	–	9,531	9,531
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	(5,355)	9,531	4,176
საწესდებო კაპიტალის გამოშვება (მე-10 შენიშვნა)	3,068	–	–	3,068
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	67,446	(3,256)	15,564	79,754
მდგომარეობით				
წლის ზარალი	–	(43,605)	–	(43,605)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	–	–	(3,077)	(3,077)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	(43,605)	(3,077)	(46,682)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	67,446	(46,861)	12,487	33,072
მდგომარეობით				

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

	<i>შენიშვნა</i>	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან		13,492	12,536
საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული ანაზღაურება	6	609	11,263
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(1,972)	(1,639)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(243)	(177)
მიღებული პროცენტი		647	83
გადახდილი გადასახადები		(1,820)	(1,710)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		10,713	20,356
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,715)	(12,468)
მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება	6	–	40,892
ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		540	–
კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული ანაზღაურებული დღგ		283	1,304
გაცემული სესხები		–	(72)
გაცემული სესხების დაფარვა		146	–
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(2,746)	29,656
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან	11	–	122,884
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(8,308)	(121,984)
საიჯარო გადასახდელები		(282)	(127)
გადახდილი პროცენტი	11,17	(11,314)	(12,716)
საკომისიო სესხების დაფარვაზე	11	–	(1,138)
ამონაგები სააქციო კაპიტალის გაზრდიდან	10	–	3,068
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(19,904)	(10,013)
წმინდა საკუროს (ზარალი)/შემოსულობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,594)	600
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(13,531)	40,599
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	41,128	529
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლების ბოლოს	9	27,597	41,128

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ**

სს „სვანეთი ჰიდრო“ (შემდგომში „კომპანია“) 2013 წელს დაფუძნდა, როგორც საპროექტო საზოგადოება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჟღენტის ქ. #10.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ენერგეტიკული პროექტების განვითარება საქართველოში. 2017 წელს კომპანიამ დაიწყო მესტიაჰალის 50-მგტ-იანი ჰიდროელექტრო სადგურების (შემდგომში „ჰიდროელექტრო სადგურები“) მშენებლობა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მშენებლობა 2019 წელს დასრულდა და მესტიაჰალის ჰიდროელექტროსადგურებმა ფუნქციონირება დაიწყეს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების მფლობელია სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“ (შემდგომში „ჯი ჯი იუ“ ან „მშობელი კომპანია“), რომელიც სს „საქართველოს კაპიტალის“ 100%-იან მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიაა, რომლის საბოლოო მშობელი კომპანიაა გაერთიანებულ სამეფოში ფუნქციონირებადი შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ („GCAP“).

2020 წლის 25 თებერვლამდე კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“, ხოლო ამ უკანასკნელის აქციების 65%-ის მფლობელი სს „საქართველოს კაპიტალი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“-ის (შემდგომში „GCAP“) ადგილობრივი შვილობილი კომპანია. დანარჩენ 35%-ს ფლობდა „RP Global“. 2020 წლის 25 თებერვალს „GCAP“-მა შეიძინა „RP Global“-ის აქციების 35% „GRPC“-ში და გახდა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი.

2020 წლის 6 ივლისს სს „საქართველოს კაპიტალი“ კომპანიაში მისი 100%-იანი მფლობელობის წილი „ჯი ჯი იუ“-ში შეიტანა.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს იმისა, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, ამასთან სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კოვიდ-19-ის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კოვიდ-19 გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარდა, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს ანაზღაურებად აქტივებს, ბანკში არსებულ ნაღდ ფულს და სხვა მიმდინარე აქტივებს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან იკისრა მიღებული ფულადი ნაკადების არსებითი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის სრულად გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით.

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და კრედიტორული დავალიანება გრძელვადიან აქტივებზე, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

თავდაპირველი აღიარება

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. გარიგების ხარჯი მოიცავს ტექნიკური და იურიდიული კონსულტანტებისთვის, ასევე სადაზღვევო ბროკერებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს და კრედიტორისთვის თავდაპირველი ფინანსური შეფასების პროცესში გადახდილ საფასურს. გარიგების ხარჯი არ მოიცავს სესხი პრემიას ან ფასდაკლებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მოიცავს გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორც არის ბანკის საკომისიო, ფინანსური ანალიზისა და დაზღვევის ხარჯები, რომლების სესხის მიღებას უკავშირდებოდა. თავდაპირველად გარიგების ფასები აღირიცხება როგორც ავანსები, ხარჯების გაწევისას. სესხის მიღებისას, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაშია შესული.

აღიარების შეწყვეტა

კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებისგან. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვლილება

როდესაც სესხის არსებული პირობები იცვლება, კომპანია ატარებს იმის ანალიზს, თავდაპირველი სესხი ჩანაცვლად თუ არა სხვა სესხით, „არსებითად“ განსხვავებული პირობებით. კომპანია ატარებს რაოდენობრივ და თვისობრივ ტესტებს. რაოდენობრივი ტესტის ფარგლებში, კომპანია ანგარიშობს ხომ არ არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ახალი პირობების ფარგლებში ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება 10%-ზე ნაკლები, რაც განსხვავდება თავდაპირველი სესხის საბალანსო ღირებულებისგან. თუ ცვლილება 10%-ზე ნაკლებია, რაოდენობრივი ტესტის საფუძველზე ცვლილება არაარსებითია.

კომპანია ასევე ატარებს თვისობრივ ტესტს, რაც მოიცავს ანალიზს იმისა, ხომ არ არის პირობების ცვლილება იმდენად ფუნდამენტალური, რომ საჭირო იყოს აღიარების სასწრაფოდ შეწყვეტა. ფუნდამენტალური ცვლილებები მოიცავს ცვლილებებს სესხის ვალუტაში, სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ფიქსირებულიდან ცვალებადზე ან პირიქით, ან კაპიტალის კონვერტაციის ფუნქციას.

სესხის „არსებითი“ ცვლილება ან მისი ჩანაცვლება „არსებითად“ განსხვავებული პირობებით აღირიცხება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახით. ეს მოქმედებს თავდაპირველი სესხის აღიარების შეწყვეტაზე და ახალი ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებაზე. ეს მოქმედებს პირდაპირ გავლენაზე მოგებაზე ან ზარალზე, თავდაპირველი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და ახალი ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის გამო (ნებისმიერი გადახდილი ფულადი სახსრების ან გადაცემული არაფულადი აქტივების გათვალისწინებით).

თუ ცვლილება არაარსებითია, კომპანია არსებულ სესხს ახალი პირობებით და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს ანგარიშგების თარიღში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, დაუმთავრებელ მშენებლობაში შემავალი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ დანახარჯებს და მოსალოდნელ მიმდინარე ღირებულებას. პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიონალურ მომსახურებებს. ამასთან, პირდაპირი დანახარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში გაწეულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯებს, ტექნიკურ და გარემოსდაცვით დანახარჯებს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირი დანახარჯების ნაწილს. ერთეულების დემონტაჟის და გატანის ვალდებულება ანარიცხებში აღიარდება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შეთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის / სხვა ხარჯების ნაწილში.

ცვეთა

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ელექტროსადგურების შემთხვევაში, ფუნქციონირების დაწყების თარიღი ნიშნავს გამოცდის პერიოდის დასრულებას და ენერგიის გამომუშავების ლიცენზიის მიღებას.

დაუმთავრებელ მშენებლობაზე და მიწის ნაკვეთზე ცვეთა არ ირიცხება. დაუმთავრებელი აქტივები ექსპლუატაციაში შედის და ცვეთის ხარჯის დარიცხვა იწყება აქტივის სამიზნე მდგომარეობაში მოყვანისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
ინფრასტრუქტურული აქტივები	10-60
მიწები და ჭები	45
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	10

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები.

ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივების აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები უპირატესად მოიცავს ლიცენზიებს და ნებართვებს, რომლებიც საჭიროა ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის პროცესისთვის და მათზე ირიცხება ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი მათი მოსალოდნელი სასარგებლო ვადის განმავლობაში (36 თვე), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადი გარდა, შემოსავლის ანგარიშგების სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ვალდებულება წარმოიშვება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. დღგ-სთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები აისახება ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობებიდან, მაშინ, როდესაც საოპერაციო საქმიანობებთან დაკავშირებული დღგ აისახება საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ ფულად ნაკადებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში შედის ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, რომელიც მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ანაბრებს, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების, ფინანსური ექსპერტიზის ხარჯების და სესხების მიღებასთან დაკავშირებული სადაზღვევო ხარჯების კორექტირებად.

გარიგების ფასები აღირიცხება როგორც ავანსები, ხარჯების გაწევისას. ამ ხარჯების გაწევა ხდება კრედიტორის პროცესის შერჩევის/დამტკიცების პროცესში. ხარჯები წარმოადგენს „კრედიტორის სავაჭრო ხარჯებს“ და ისინი შესულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში, როდესაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ისეთი აქტივის შემენისთვის ან მშენებლობისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც ამ კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით ქონების მშენებლობის ფაზაში ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანია წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

მსგავსი ვალდებულებების არსებობის დროს, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით.

თუ კომპანია მოელის რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია.

გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები

გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადმოცემულ აღიარებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, მის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე.

საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, იმ შემთხვევაში, თუ იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

შემოსავალი

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის კლიენტისთვის მიწოდების აღწერისთვის იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელიც ასახავს იმ თანხის ოდენობას, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, ამ საქონლის სანაცვლოდ. კომპანია მომხმარებელთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე იყენებს ხუთ-ეტაპიან მოდელს:

- ▶ მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- ▶ ხელშეკრულების მიხედვით შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება;
- ▶ გარიგების ფასის განსაზღვრა;
- ▶ გარიგების ფასის განაწილება ხელშეკრულების მიხედვით შესასრულებელ მოვალეობებზე;
- ▶ შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც, ან როგორც კი ის ასრულებს შესასრულებელ მოვალეობას, ე.ი. როდესაც კონკრეტული შესასრულებელი მოვალეობის საბაზისო საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვანი შემოსავლის წარმომქმნელი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ელექტროენერგიის გაყიდვა

კომპანია ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც გამოიმუშავებს საკუთარი ქარის ელექტროსადგურით. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის კლიენტზე გადაცემის მომენტში, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ამონაგების აღიარება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთ შესასრულებელი ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც ელექტროენერგიის შეთანხმებული ოდენობით მიწოდებისას ხდება.

ამონაგების შეფასება ხდება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა უნდა მოხდეს ელექტროენერგიის გადაცემიდან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ. კლიენტები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლოსთვის.

პრინციპალის და აგენტის საზღაური

კომპანია არის პრინციპალი (და შესაბამისად შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს), თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებებს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. კომპანია არის აგენტი (და, შესაბამისად, ის შემოსავლად აღრიცხავს წმინდა თანხას, რომელსაც ის ინარჩუნებს სააგენტო მომსახურებებისთვის), თუ მისი როლია სხვა საწარმოს მიერ საქონლის და მომსახურებების მიწოდების ორგანიზება. კომპანიამ დაასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ზემოთ აღწერილ საქონელთან და მომსახურებებთან მიმართებაში, რადგან ის აკონტროლებს კონკრეტულ საქონელს და მომსახურებებს მათი კლიენტისთვის გადაცემამდე. შესაბამისად, კომპანია შემოსავალს ბრუტო საფუძველზე აღრიცხავს.

EBITDA

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA განისაზღვრება, როგორც შემოსავალი პროცენტის, გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, წმინდა საკუროს ზარალი ან შემოსულობა და წმინდა არარეგულარული ერთეულები.

არარეგულარული მუხლები

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია და ამიტომ მათი გათვალისწინება არ უნდა მოხდეს სამომავლო პროგნოზების გაკეთებიდან.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი („აშშ დოლარი“), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოში აშშ დოლარში განისაზღვრება, შესაბამისად კომპანიის შემოსავალი აშშ დოლარში იქნება გამოხატული;
- ▶ აქციონერებისგან კაპიტალში შენატანი, ასევე აქციონერებზე გადანაწილება აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ კომპანიის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარშია გამოხატული.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობის ნაწილში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,0976 და 3,2766 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება ოპერაციების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის ნარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის შეცვლის თარიღისთვის. გადაანგარიშებისას წარმომდგარი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და განხორციელებულ უცხოურ ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მომზადების მიზნით ლარში.

კომპანიის სამუშაო ვალუტა აშშ დოლარით (შემდგომში „დოლარი“) განისაზღვრება.

სამუშაო ვალუტის ცვლილება პროაქტიურად იქნა გამოყენებული 2017 წლიდან. ცვლილების თარიღში კომპანიამ ყველა მისი ერთეული ახალ სამუშაო ვალუტად დააკონვერტირა, ცვლილების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. შედეგად მიღებული კონვერტირებული თანხა არაფულადი ერთეულებისთვის მათი პირვანდელ ღირებულებად განისაზღვრა.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, ფულადი პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: „ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება“
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: ძირითადი საშუალებები „შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში: „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შეიღობილი კომპანიები, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს სტანდარტებს
- ▶ ფასს (IFRS) 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის
- ▶ ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში
- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიაზე.

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

- ▶ საპროცენტო განაკვეთის ბენეფიტების ფუნდამენტური რეფორმა - მე-2 ეტაპი: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ბასს (IAS) 16-ში
- ▶ „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ინფრასტრუქტურული და დაუმთავრებელი აქტივების შეფასება

ინფრასტრუქტურული და დაუმთავრებელი აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. კომპანია ახდენს მშენებლობის პროცესთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციას. ხარჯების თავდაპირველი კაპიტალიზაცია მშენებლობის პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ შეფასებას ეფუძნება. საოპერაციო იჯარები, სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადები, ნასესხები სახსრები და სხვა ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იმ ისეთი აქტივის მშენებლობას, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი. ფიზიკური დაზიანების ან აქტივების განადგურების შედეგად მიღებული ნებისმიერი გაუფასურების შემთხვევაში, კომპანია აფასებს ამგვარი დაზიანების მასშტაბს თითოეული ინდივიდუალური ერთეულისთვის და ჩამოწმებს ძირითადი საშუალებების ისეთ ნაწილს, რომელიც ნაწილობრივად დაზიანებული ერთეულებისთვის მოიცავს გაუფასურების რეზერვის ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებული შეფასებების გამოყენებას.

მშობელ კომპანიებზე გაცემული ფინანსური გარანტიების აღიარება და შეფასება

2020 წლის ივლისში კომპანია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კონკრეტულ საწარმოებთან ერთად, სოლიდარულად გახდა თავდები მშობელი კომპანიის მიერ გამოშვებული 250 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების 7,75%-იან ევროობლიგაციებთან მიმართებაში, რომელთა დაფარვის ვადა 2025 წელია (შემდგომში „ობლიგაციები“). ობლიგაციების გამოშვების შემდეგ კომპანიამ დააფინანსა ყველა მისი გარე ნასესხები სახსრები მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი კომპანიის მიმართ მართებული ნასესხები სახსრების თანხამ 115,204 ლარი (2020 წლის 31 დეკემბერს: 129,617 ლარი) შეადგინა (მე-11 შენიშვნა).

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური საგარანტიო ვალდებულების შეფასებისას, კომპანიამ გარანტიის პოტენციურად გამოთხოვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი გადახდის თანხა (დეფოლტირებისას) წულით შეაფასა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 804,406 ლარის ოდენობით გარანტიის მთლიანი პირობითი თანხიდან მშობელი კომპანიის მიმართ მართებული ნასესხები თანხების გამოკლებით (2020 წლის 31 დეკემბერს: 819,150 ლარის ოდენობით). მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრების თანხამ 115,204 ლარი შეადგინა, რომელიც უკვე აღიარებული იყო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე თანხა, რომლის დაფარვაც მოსალოდნელი იყო სხვა თავდებების მიერ 689,438 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერს: 689,533 ლარი). 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეფოლტის ქვეშ მყოფი დავალიანების განსაზღვრაში გამოყენებული იყო მნიშვნელოვანი მსჯელობა.

„მესტიაჭალა 1“-ის გაუფასურება

2021 წელს კომპანიამ აღიარა ჰიდროელექტრო სადგურ „მესტიაჭალასთან“ დაკავშირებული გაუფასურება 36,595 ლარის ოდენობით. ეს სადგური დაზიანდა 2019 წელს კლდის ჩამოწოლის შედეგად (მე-16 შენიშვნა). მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროელექტრო სადგურის რეაბილიტაციას დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება ჰქონდა, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აქტივების 93%-ით გაუფასურება 2021 წელს, რადგან ის არ გეგმავდა აქტივების გარემონტებას უახლოეს მომავალში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ „მესტიაჭალა 1“-ის ჰიდროელექტრო სადგურის დარჩენილი აქტივების ნაშთი 2,618 ლარის ოდენობით შეაფასა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2021 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მიწები და კეები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბერი	393	98,708	71,139	1,274	443	171,957
შესყიდვები	–	3,567	–	–	37	3,604
გასვლები	–	–	–	(405)	–	(405)
საკუროსო სხვაობები	(21)	(5,327)	(3,886)	(111)	(24)	(9,369)
პირვანდელი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	372	96,948	67,253	758	456	165,787
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2020 წლის 31 დეკემბერი	–	(3,432)	(2,596)	(16)	(41)	(6,085)
ცვეთის ხარჯი	–	(2,327)	(1,607)	(100)	(10)	(4,044)
გასვლები	–	–	–	70	–	70
გაუფასურება	–	(36,595)	–	–	–	(36,595)
საკუროსო სხვაობები	–	242	205	2	3	452
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(42,112)	(3,998)	(44)	(48)	(46,202)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31-დეკ-20	393	95,276	68,543	1,258	402	165,872
31-დეკ-21	372	54,836	63,255	714	408	119,585

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2020 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მიწები და კეები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბერი	344	78,164	62,283	43	86	140,920
შესყიდვები	–	9,037	–	1,188	323	10,548
საკუროსო სხვაობები	49	11,507	8,856	43	34	20,489
პირვანდელი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	393	98,708	71,139	1,274	443	171,957
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2019 წლის 31 დეკემბერი	–	(1,040)	(807)	(13)	(34)	(1,894)
ცვეთის ხარჯი	–	(2,113)	(1,674)	(1)	(2)	(3,790)
საკუროსო სხვაობები	–	(279)	(115)	(2)	(5)	(401)
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(3,432)	(2,596)	(16)	(41)	(6,085)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31-დეკ-19	344	77,124	61,476	30	52	139,026
31-დეკ-20	393	95,276	68,543	1,258	402	165,872

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ინფრასტრუქტურული აქტივები მეტწილად მოიცავდა სატურბინე გენერატორებს, შემშვებებს და რეზერვუარებს „სვანეთი ჰიდროს“ ჰიდროელექტრო სადგურებისთვის, ასევე ქარის პროექტებისა და წყლის ნაკადის შეფასების სადგურებისთვის საჭირო ანძების შეფასებას.

2019 წლის ივლისის თვეში, მესტიაჰალის ხეობაში ჩამოწოლილმა კლდემ დააზიანა მესტიაჰალის ჰიდროელექტრო სადგურები და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურა. ამ ღვარცოფის შედეგად, ჰიდროელექტრო სადგურები „მესტიაჰალა“ დაზიანდა და ფუნქციონირება შეწყვიტა. ჰიდროელექტრო სადგურმა „მესტიაჰალა 2“ გამოუმუშავების აღდგენა 2019 წლის დეკემბერში დაიწყო.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზარალის მოვლენასთან დაკავშირებით, კომპანიამ აღიარა ანაზღაურებადი აქტივები (სადაზღვევო ზარალთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება) საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო სადაზღვევო კომპანიიდან 2,822 ლარის ოდენობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურების შემოსავლით 4,251 ლარის ოდენობით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურებით მიღებულ შემოსულობაში იყო შესული.

საქმიანობის შეწყვეტის ანაზღაურება მოიცავდა არასაოპერაციო პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 30 ივლისამდე. ეს დაზღვევა არ მოიცავდა დამატებით პერიოდებს. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო ანაზღაურება ქონების დაზიანებისთვის და საქმიანობის შეწყვეტისთვის 40,892 ლარის და 11,263 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ აანაზღაურა ადრე აღიარებული ასანაზღაურებელი აქტივები, მზღვევლთან შეცვლილი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ცვლილების შედეგად, ასანაზღაურებელი აქტივები 2,158 ლარის ოდენობით ჩამოიწერა არარეგულარულ ხარჯებში (მე-16 შენიშვნა). ასანაზღაურებელი აქტივის დარჩენილი ნაწილი 609 ლარის ოდენობით კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში მიიღო. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხსენებულ ზარალის შემთხვევასთან დაკავშირებით, ასანაზღაურებელი აქტივი დარჩენილი არ იყო.

რაც შეეხება „მესტიაჰალა 1“-ს, მისი დაზიანება მეტად მკაცრი იყო. კომპანიამ დეტალური შიდა და გარე ანალიზი ჩაატარა, მათ შორის სამართლებრივი, ბიზნეს და გარემოსდაცვითი რისკების და მომგებიანობის შესაფასებლად. ანალიზის, შემოწმების და გადაწყვეტილების მიღების პროცესი 2021 წლის ბოლოს დასრულდა. ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჰალა 1“ ექსპლოატაციაში განმეორებით შეყვანა 10 მილიონი აშშ დოლარით შეფასდა. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ კომპანიის და მშობელი კომპანიის საუკეთესო ინტერესებში შედის ამ თანხების სხვა პროექტებზე გადანაწილება, რაც დღეისათვის შემუშავების ეტაპზეა და უფრო ნაკლებ რისკებს ექვემდებარება ბუნებრივი საფრთხეების მხრივ. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაწყდა ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჰალა 1“ აქტივების გაუფასურება, რამაც წარმოქმნა გაუფასურების რეზერვის ხარჯი 36,595 ლარის ოდენობით.

7. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები

ქვემოთ მოცემულია გამოყენების უფლებით გადმოცემული აღიარებული აქტივების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	547
გასვლები	(93)
ცვეთის ხარჯი	(8)
საკუთრო სხვაობები	78
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	524
შესყიდვები	217
ცვეთის ხარჯი	(14)
საკუთრო სხვაობები	(29)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	698

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები მოიცავდა მიწის ნაკვეთების იჯარებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**7. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები (გაგრძელება)**

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ საიჯარო ვალდებულებებში:

	<i>საიჯარო ვალდებულებები</i>	<i>სულ</i>
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	606	606
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	86	86
ფულადი შემოსავალი	–	–
გადახდილი ფულადი სახსრები	(127)	(127)
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი	–	–
საკომისიო სესხის დაფარვაზე	–	–
დარიცხული პროცენტი	66	66
გადახდილი პროცენტი	(66)	(66)
საიჯარო ვალდებულებების შემოსვლები/(გასვლები)	(228)	(228)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	337	337
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(18)	(18)
გადახდილი ფულადი სახსრები	(282)	(282)
დარიცხული პროცენტი	106	106
გადახდილი პროცენტი	(106)	(106)
საიჯარო ვალდებულებების შემოსვლები/(გასვლები)	335	335
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	372	372

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	–	635
არამატერიალური აქტივები	811	154
სხვა გრძელვადიანი აქტივები, სულ	811	789

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის მეტწილად მოიცავს სამოქალაქო სამუშაოების შემსრულებლებისთვის და ჰიდრო-მექანიკური მოწყობილობებისა და გენერატორების მომწოდებლებისთვის გადახდილ გადახდებს, ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. 2021 წელს სამუშაოები ჩატარდა და კაპიტალიზებულ იქნა ძირითად საშუალებებში.

არამატერიალური აქტივების და დაგროვილი ამორტიზაციის მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, შესაბამისად, შეადგენდა 955 ლარს და 144 ლარს (2020 წლის 31 დეკემბრის: 284 ლარი და 130 ლარი).

ამორტიზაციის ხარჯი არამატერიალურ აქტივებზე 2021 წელს იყო 22 ლარი (2020 წ.: 16 ლარი).

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>2021 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	27,391	40,923
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარში	165	190
ნაღდი ფული ბანკში ევროში	41	15
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25,597	41,128

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფული ბანკში მოიცავს საქართველოს კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 249 ლარის ოდენობით 2021 წელს (2020 წ.: 83 ლარი).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**10. კაპიტალი****სააქციო კაპიტალი**

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 30,000 ათასი ჰვეულებრივი აქციისგან. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) აშშ დოლარი. 25,842 ათასი აქცია გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სააქციო კაპიტალში განახორციელა 67,446 ლარის ოდენობით სრული შენატანი.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ 1.000 ათასი აქცია გამოუშვა ნომინალური ღირებულებით 3,068 ლარი, ფულადი საზღაურის ფორმით.

საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი მოიცავს უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვს. წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი სრულად უკავშირდება მოძრაობას საკურსო სხვაობის რეზერვში.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისე, რომ მან შესძლოს აქციონერებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის კომპანია კაპიტალს ისევე განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოადგენს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

11. ნასესხები სახსრები

	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>	<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>	<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>	<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>
მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი	5,135	110,069	5,158	124,459
სულ ნასესხები სახსრები	5,135	110,069	5,158	124,459

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მშობელი კომპანიისგან მიღებული ჰქონდა აშშ დოლარში გამოხატული სესხი 115,204 ლარის (2020 წლის 31 დეკემბერს: 129,617 ლარი) ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთით 10.0%, რომლის დაფარვის ვადა იყო 2025 წელი. კომპანიამ თანხები მშობელი კომპანიისგან 2020 წლის აგვისტოში მიიღო და ისინი გამოიყენა ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ყველა ნასესხები სახსრების რეფინანსებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხი	ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებების გან ნასესხები სახსრები	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		112,273	112,273
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	7,783	7,894	15,677
ფულადი შემოსავალი	122,884	–	122,884
გადახდილი ფულადი სახსრები	(6,147)	(115,837)	(121,984)
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით			
გამოწვეული ზარალი	–	4,524	4,524
საკომისიო სესხის დაფარვაზე	–	(1,138)	(1,138)
დარიცხული პროცენტი	5,097	4,876	9,973
გადახდილი პროცენტი	–	(12,650)	(12,650)
საიჯარო ვალდებულებების შემოსვლები/(გასვლები)	–	–	–
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	129,617	–	129,617
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(6,723)	–	(6,723)
გადახდილი ფულადი სახსრები	(8,308)	–	(8,308)
დარიცხული პროცენტი	11,827	–	11,827
გადახდილი პროცენტი	(11,209)	–	(11,209)
საიჯარო ვალდებულებების შემოსვლები/(გასვლები)	–	–	–
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	115,204	–	115,204

2020 წლის აგვისტოში, სესხი ქართული ფინანსური ინსტიტუტიდან სრულად დაიფარა, რომლისთვისაც ფინანსური ვალდებულების დაფარვის ზარალმა 4,524 ლარი შეადგინა, რომელიც აღიარებულია 2020 წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

12. გადავადებული შემოსავალი

2017 წლის 27 დეკემბერს კომპანიამ მიიღო გრანტი ავსტრიული სახელმწიფო უწყებისგან „Oesterreichische Entwicklungsbank AG („OEEB“)“. გრანტის თანხამ შეადგინა 416 ათასი ევრო ან 434 ათასი აშშ დოლარი (1,344 ლარი და 1,422 ლარი 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად) და კონკრეტული სახელშეკრულებო პირობების დაკმაყოფილების შემდეგ ანაზღაურდა ჰიდროელექტრო სადგურების „მესტიაჭალა“ ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებით გადახდილ თანხებზე. თანხა აღირიცხა გადავადებული შემოსავლის სახით და აღიარდა როგორც შემოსავალი თანაბარი თანხებით, შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. 2021 წელს ჰიდროელექტრო სადგურის „მესტიაჭალა 1“ გაუფასურების გამო, კომპანიამ აღიარა არარეგულარული შემოსავალი „მესტიაჭალა 1“-თან დაკავშირებულ გრანტთან მიმართებით 214 ათასი ევროს ან 256 ათასი აშშ დოლარის (794 ლარი) ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**13. შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან**

კომპანიამ გააფორმა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ („ესკო“) კომერციული ოპერაციების დაწყების თარიღიდან (2019 წლის აპრილი „მესტიაჭალა 2“-სთვის და 2019 წლის ივნისი „მესტიაჭალა 1“-სთვის) 15 წლის ვადით. კომპანიას აქვს უფლება გაყიდოს, ხოლო „ესკო“ ვალდებულია იყიდოს კომპანიის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია წელიწადში 8 თვის განმავლობაში (სექტემბრიდან მაისამდე), ხოლო დანარჩენი პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგია გაიყიდება ღია ბაზარზე. ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან აღიარდება ყოველთვიურად, მრიცხველის ფაქტიური მაჩვენებლების საფუძველზე.

	2021	2020
შემოსავალი ელექტროენერგიის კომერციულ მომხმარებლებზე გაყიდვიდან	8,473	7,430
შემოსავალი ელექტროენერგიის ესკო-ზე გაყიდვიდან	5,068	5,130
სულ შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	13,541	12,560

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ელექტროენერგიის რეალიზაციასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ნაშთები 233 ლარს შეადგენდა (2020 წლის 31 დეკემბერს: ნული ლარი) სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში აღირიცხა.

14. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	1,445	1,522
სადაზღვევო ხარჯი	959	827
ხელფასები	255	225
პროფესიული გასამრჯელო	214	112
ინფრასტრუქტურული აქტივების ტექნიკური მომსახურების ხარჯი	150	–
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები	108	–
სამივლინებო ხარჯები	8	1
სხვა	183	177
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,322	2,864

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების ხარჯები	146	62
სხვა ხარჯები	67	140
საქველმოქმედო ხარჯები	34	1
საიჯარო ხარჯი	7	10
მართვის ხარჯები	–	176
კვლევისა და სერტიფიცირების ხარჯები	–	16
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	254	405

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**16. არარეგულარული ხარჯი, წმინდა**

	2021	2020
ძირითადი საშუალებების დაკარგვა ბუნებრივი კატასტროფის გამო (მე-6 შენიშვნა)	2,158	572
შემოსავალი „მესტიაჭალა 1“-თან დაკავშირებული გრანტზე (მე-12 შენიშვნა)	(794)	–
სხვა არარეგულარული შემოსავალი	(14)	–
სულ არარეგულარული ხარჯები, წმინდა	1,350	572

17. ფინანსური ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ნასესხებ სახსრებსა და საიჯარო ვალდებულებებზე ფინანსურმა ხარჯმა 11,784 ლარი და 106 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2020 წლის 31 დეკემბერს: 10,031 ლარი და 66 ლარი).

18. პირობითი ვალდებულებები**გაცემული ფინანსური თავდებობები**

თავდებობა გამოუთხოვადი რწმუნებულებათა იმისა, რომ კომპანია განახორციელებს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ დააკმაყოფილებს ვალდებულებებს.

საერთო კონტროლს დაკავშირებულ სხვა საწარმოებთან ერთად, კომპანიამ გასცა თავდებობა მშობელ კომპანიაზე, ირლანდიის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდებისთვის (მე-5 შენიშვნა).

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ აქვს.

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება შემოწმებისთვის სამ წლამდე ვადის განმავლობაში. თუ შემოწმებით დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების მცირე რაოდენობით წარმოჩენა, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ შემოწმების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**19. ფინანსური ინსტრუმენტები****სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა**

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხდება შეფასების მეთოდით, რომლის დროსაც გამოიყენება აქტიურ ბაზრის ფასები და მონაცემები.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, იყო შემდეგი:

		2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
ანაზღაურებადი აქტივები (მე-6 შენიშვნა)	დონე 3	–	–	2,822	2,822
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (მე-9 შენიშვნა)	დონე 1	27,597	27,597	41,128	41,128
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	დონე 2	115,204	127,054	129,617	139,024
სხვა ვალდებულებები (მე-7 შენიშვნა)	დონე 2	372	372	384	384
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	დონე 3	32	32	34	34

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ანაზღაურებადი აქტივების და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.
- ▶ ცვალებადი კურსის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)**

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკს წარმოშობს ევროში გამოხატული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, კრედიტორული დავალიანებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ნასესხები სახსრებისთვის. გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ქვედა ცხრილში:

<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა/ კლება, % 2021</i>	<i>გავლენა მოგებაზე 2021</i>
ევრო	9.00%	(117)
ევრო	-9.00%	117
<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა/ კლება, % 2020</i>	<i>გავლენა მოგებაზე 2020</i>
ევრო	9.00%	(127)
ევრო	-10.00%	141

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები, რომლებიც საპროცენტო განაკვეთის რისკს არ ექვემდებარებოდა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას მიადგება ზარალი კონტრაქტების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 27,597 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბრის: 41,128 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB-/bb-“ შეფასებები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები კლასიფიცირებულია მიმდინარედ და ისინი გაუფასურებული არ არის. ამ ფინანსური აქტივების მოკლევადიანობისა და მაღალი ლიკვიდურობის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეაფასა. ამიტომ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად გაუფასურება აღიარებული არ არის. ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. არ არსებობს ისეთი ფინანსური აქტივები, რომელთა პირობები რესტრუქტურირებულია და რომლებიც სხვა შემთხვევაში, აღნიშნული რესტრუქტურირების გარეშე, ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**19. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)***ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებას გრძელვადიან აქტივებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	11,561	143,189	154,750
საიჯარო ვალდებულებები	49	1,800	1,849
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	32	–	32
ფინანსური გარანტია	804,406	–	804,406
სულ მომავალი გადახდები	816,048	144,989	961,037
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	18,841	174,554	193,395
საიჯარო ვალდებულებები	47	2,001	2,048
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	34	–	34
ფინანსური გარანტია	819,150	–	819,150
სულ მომავალი გადახდები	838,072	176,555	1,014,627

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

„GCAP“ ჯგუფის საწარმოები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია „GCAP“-ის წევრების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	„GCAP“ ჯგუფი		„GCAP“ ჯგუფი	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
	31-დეკ 2021	31-დეკ 2021	31-დეკ 2020	31-დეკ 2020
ანაზღაურებადი აქტივები (მე-6 შენიშვნა)	-	-	-	2,822
სულ აქტივები	-	-	-	2,822
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	129,617	-	-	-
სესხის აღება	-	-	124,459	-
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	11,784	-	5,158	-
ნასესხები სახსრების და პროცენტის გადახდა	(19,516)	-	-	-
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(6,681)	-	-	-
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	115,204	-	129,617	-
სულ ვალდებულებები	115,204	-	129,617	-

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დამატებით დაირიცხა საქმიანობის შეწყვეტით გამოწვეული შემოსავალი 4,251 ლარის ოდენობით და საკურსო შემოსულობა ანაზღაურების დებიტორულ დავალიანებაზე 258 ლარის ოდენობით (მე-6 შენიშვნა).

2020 წლის აგვისტოში კომპანიამ მოახდინა ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან მისი ნასესხები სახსრების რეფინანსირება მშობელი კომპანიისგან მიღებული, აშშ დოლარში გამოხატული გრძელვადიანი ნასესხები სახსრებით.

დირექტორების ანაზღაურება

2021 და 2020 წლებში კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს სამ წევრს და დირექტორთა საბჭოს წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ იღებენ ანაზღაურებას კომპანიისგან. ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მართვის პოზიციების მომსახურების ანაზღაურებას, შედგება ხელფასებისგან, შესრულების პრემიებისგან, რომელიც დამოკიდებულია კომპანიის სხვა ანაზღაურების მაჩვენებლებზე, ცხოვრების, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების ფორმით. ხელმძღვანელობის ზედა რგოლისთვის დარიცხულმა მთლიანმა ანაზღაურებამ შეადგენდა:

	2021	2020
ხელფასი	72	72
პრემია ფულადი სახით	36	18
	108	90

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**21. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

2022 წლის 3 თებერვალს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ მიერ გაყიდვიდან ამონაგები თანხის მიღებით და „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ შესაბამისი აქციების „Aqualia“-სთვის გადაცემით, წარმატებით დასრულდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვის გარიგების პირველი ეტაპი. შესაბამისად, „Aqualia“ გახდა კომპანიის ახალი მაკონტროლებელი აქციონერი.

ომი უკრაინაში

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტინგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.